ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №106

2015 წლის 11 აგვისტო

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის №226 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის ტერიტორიული გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის №226 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 27.06.2014 წ., 330090020.35.160.016209) დამტკიცებულ დანართში „კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით მაღლაკელიძე**

დანართი

1. პირამიდის მიმდებარე ტერიტორიას მიენიჭოს (სსზ 4) და მოეხსნას საპროექტო ზონის სტატუსი.
2. ფალიაშვილის ქუჩისა და პარკის მიმდებარე ტერიტორიას მოეხსნას საპროექტო ზონის სტატუსი და დარჩეს ზონა სზ-3.

3. მე-16 და მე-17 მ/რ -ის შორის არსებულ ტერიტორიას მოეხსნას საპროექტო ზონის სტატუსი და დარჩეს (სსზ 3).

4. ლომოურის ქუჩისა და მე-7^{ა} მ/რ-ის მ/ტ-ს ცენტრალური ნაწილი დარჩეს საპროექტო ზონად, ხოლო მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიას მოეხსნას საპროექტო ზონის სტატუსი.

5. ქალაქის შემოსასვლელში ტერიტორიას (ყოფილი სასათბურე მეურნეობის ნაწილი(ს/კ 02.08.01.037) მოეხსნას სსზ-1 და შეიცვალოს ს-1-ით და მოეხსნას საპროექტო ზონის სტატუსი.

6. მე-7^{ა} მ/რ -ის მ/ტ-ზე მოეხსნას რზ-1 და მიენიჭოს სზ-5.

7. შარტავას გამზირზე (ღვინის სახლის მ/ტ) ტერიტორიის ნაწილს მოეხსნას რზ-1 და მიენიჭოს სზ-6, ამასთან, გაუქმდეს გენგეგმით გათვალისწინებული, მიწის ნაკვეთებზე გამავალი გზა.

8. მერიის შენობის მოპირდაპირედ არსებულ რეკრეაციულ ზონაში მოქალაქეს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე მიეცეს შესაბამისი კოეფიციენტით კაფეს აშენების ნებართვა.

9. ჭყონდიდელის დასახლებაში, რჩეულიშვილის ქუჩის №2, №4 და №6 კორპუსების მიმდებარედ და მე-11 მ/რ-ის მ/ტ-ზე რზ-1 შეიცვალოს სზ-5-ად.